პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 აპრილი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 92 (14392)



საპირველმაისო ვახტზე

წარმატებით დგანან საპირველმაისო ვახტზე თბილისის № 2 ავტოშემკეთებელი ქარხნის ამწყობ-ზეინკლები, რომელთა ერთ-ერთ ბრიგადას ახლახან მიენიჭა ლენინური შრომის ბრიგადის სამატიო წოდება. ისინი მაღალხარისხოვან პროდუქციას ამზადებენ. სურათზე: ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) გ. მელაძე და გ. ობგაიძე, ძრავების საამქროს უფროსი შ. კალატოზიშვილი და ამწყობი საამქროს უფროსი ი. ავსაჯანაშვილი.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

1969 წლის 12 აპრილს გაიმართა სრულიად საკავშირო შაბათობა, რომელიც მიეძღვნა ჩვენს ქვეყანაში მოწყობილ პირველ კომუნისტურ შაბათობათა 50 წლისთავს. თავისუფალი ხალხის შრომითს ინიციატივაში ვ. ი. ლენინმა განჭვრიტა დიადი თაოსნობა, კომუნიზმის ცოცხალი ყლორტები.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების ნიშნით მოწყობილმა სრულიად საკავშირო საიუბილეო შაბათობამ ცხადყო ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ურყევი ერთგულება რევოლუციური ტრადიციებისადმი, საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, კომუნისტური შრომის ძლევამოსილი წინსვლა. საყოველთაო-სახალხო შაბათობა, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი დიდი სამშობლოს თითქმის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა, გადაიქცა სასიხარულო შრომითს დღესასწაულად, აღინიშნა დიდი საწარმოო მიღწევებით, მნიშვნელოვანი წვლილი იყო ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო მაღალ შეფასებას აძლევენ მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომართა, შრომის ვეტერანთა, საბჭოთა ქალების, ახალგაზრდობის პატრიოტიზმს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს საიუბილეო შაბათობაში, და გულითად მადლობას უხდიან სამშობლოს საკეთილდღეოდ კომუნისტური შრომისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება: შაბათობაზე უსასყიდლო შრომის შედეგად მიღებული სახსრები მოხმარდეს მოსკოვში დიდი ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის მშენებლობას, რომელიც ყოველმხრივ შეისწავლის და დაამუშავებს კიბოს დაავადებათა თავიდან აცილებისა და მკურნალობის პრობლემებს, აგრეთვე ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხთა შემსწავლელი სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის შექმნას.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

18 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

კრების პრეზიდიუმში აირჩიეს ამხანაგები ვ. პ. მეშამანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. ბ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, ბ. ი. ჩოგოვაძე, ბ. დ. ჯაპახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეები, საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს წარმომადგენლები.

კრებამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ. დ. ჯაპახიშვილის მოხსენება „რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ამოცანები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. დ. თხილაიშვილი, კომბინატ „თბილეფსპრესის“ მკერავი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატი ე. ბ. ბუღიშვა, აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. ბ. ბილაშვილი, პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ნ. ბრიგალაშვილი, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ა. ი. გონაშვილი, რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ა. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. ჯუსოევი, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი შ. დ. დუმბაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ვ. დ. ღოლოგერიძე, ხაშურის რაიონის ხციასის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. მ. ლობჟანიძე, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ბ. მ. რუხაძე, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. კ. წითლიძე, თბილისის ფაბრიკა „ქიმწმენდის“ მთავარი ინჟინერი დ. ვ. დოლიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. ვ. მეტრეველი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი ი. რ. ხვედელიანი, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. ი. კაპილაძე.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მეშამანაძემ.

განხილულ საკითხზე კრებამ მიიღო რეზოლუცია.

(საქდესი).

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ავსტრიის მინისტრი

17 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ავსტრიის ტრანსპორტისა და ნაციონალიზებულ საწარმოთა მინისტრი ლ. მაისი და ესაუბრა მას. საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. საუბარში შეეხნენ სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-ავსტრიის თანამშრომლობის მდგომარეობასა და მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საკითხებს. (საკდესი).

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის მონაწილეის შესახებ

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ამა წლის 23 აპრილს მოსკოვში იხსნება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები და მთავრობათა მეთაურები.

რუმინეთში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის გამგზავრების გამო

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დიდმა ეროვნულმა კრებამ რუმინეთში საპასუხო ვიზიტით მიიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია.

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **გ. ს. ძოწენიძის** მეთაურობით რუმინეთს ეწვევა ამა წლის აპრილში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი 1969 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

2. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ ინტერნაციონალურ მოძღვრებას, ყველა ქვეყნის მშრომელთა გზის მანათობელ ვარსკვლავს სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

4. დაე საუკუნეებში ცოცხლობდეს მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალური განმგრძობის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი!

5. დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის სახელოვან მშენებელს, მშრომელთა თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

6. გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყნის გმირ მუშათა კლასს — მოწინავე და წამყვან შემოქმედებითს ძალას სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

7. გაუმარჯოს გმირ კოლმეურნე გლეხობას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

8. დაე განმტკიცდეს და აყვავდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ურღვევი საფუძველი!

9. გაუმარჯოს საბჭოთა სახალხო ინტელიგენციას — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიურ მონაწილეს!

10. დაე მარად ცოცხლობდეს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა და ურღვევი ერთიანობა!

11. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

12. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო მჭიდროდ შეკავშირდით კომუნისტური პარტიის ლენინური დროშით!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად და ურღვევ ერთიანობას!

13. გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — ხელისუფლების ნამდვილად სახალხო ორგანოებს!

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია, იზრდებოდეს მშრომელთა აქტივობა ქვეყნის საქმეთა მართვაში!

14. გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — მართვისა და მეურნეობის გაძღოლის სკოლას, კომუნიზმის სკოლას!

15. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს!

16. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

17. საბჭოთა მეომრებო! მიაღწიეთ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, მუდამ ფხიზლად და მზად იყავით იმპერიალისტთა ყოველგვარი აგრესიის მოსაგერიებლად!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის გმირ შეიარაღებულ ძალებს!

18. დიდება სახელოვან საბჭოთა მესაზღვრეებს, რომლებიც მამაცურად იცავენ ჩვენი სამშობლოს წმიდათა-წმიდა საზღვრებს!

19. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ავამაღლოთ პოლიტიკური სიფხიზლე! სოციალიზმისა და მშვიდობის მტრების ხრიკებს ვუპასუხოთ შეკავშირების, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებით!

20. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ლენინის დაბადების მეასე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის!

21. დიდება კომუნისტური შრომის დამკვრელებსა და კოლექტივებს!

დიდება წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს!

22. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში რაც შეიძლება სწრაფად დანერგვისათვის! ბეჯითად დაეუფლეთ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნას!

23. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ყოველი ღონისძიებით გაზარდეთ წარმოების ეფექტიანობა! იბრძოლეთ საწარმოო ფონდების, ნედლეულისა და მასალების უკეთ გამოყენებისათვის, საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ვადების შემცირებისათვის!

24. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განუხრელად ზარდეთ შრომის ნაყოფიერება — ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი კომუნიზმის გამარჯვებისათვის! იბრძოლეთ თვითეული სამუშაო წუთის სრულად გამოყენებისათვის!

25. სახალხო მეურნეობის მუშაკებო! დაბეჯითებით აამაღლეთ წარმოების ტექნიკური დონე! განახორციელეთ კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია! ყოველი ღონისძიებით აუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი, იბრძოლეთ მისი თვითღირებულების შემცირებისათვის!

26. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის!

27. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! იბრძოლეთ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის! გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, შეამცირეთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება!

28. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! იბრძოლეთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის, ყოველნაირად გაადიდეთ მარცვლის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება!

(დასასრული მე-2 გვერდზე).

კომუნიკე

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

პრაღა, 18 აპრილი. (საკდესი). 17 აპრილს პრაღის კრემლის ესპანურ დარბაზში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმის მუშაობაში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებთან და წევრობის კანდიდატებთან ერთად მონაწილეობდნენ ადგილზე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელობის წევრები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები და განყოფილებათა გამგეები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩეხიის ოლქებში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის ბიუროს წევრები და ფედერალური მთავრობის კომუნისტი მინისტრები.

პლენუმი 14 საათსა და 30 წუთზე გახსნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ოლდრიხ ჩერნიკმა.

ჩეხოსლოვაკიაში განსაკუთრებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება განიხილოს პრინციპული ორგანიზაციული და კადრების საკითხები.

პლენუმზე პირველი გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ალექსანდრე დუბჩეკი. მან მოკლე ანალიზი გაუკეთა თანამედროვე პოლიტიკურ კრიზისს, მის მიზეზებს და აღნიშნა, რომ ამ კრიზისიდან თავის დასაღწევად უნდა განსამტკიცონ პარტიის ხელმძღვანელი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე, უნდა გადავიდნენ ყველაგან სიტყვიდან საქმეზე, დააჩქარონ სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის ნორმალიზაცია. ამხანაგმა დუბჩეკმა თქვა, რომ საჭირო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურაში მოახდინონ ცვლილებები, რომლებსაც უნდა მოჰყვეს ამ ორგანოებისა და მთელი პარტიის ქმედითუნარიანობის ამაღლება. დასასრულ მან ითხოვა გადაეცეს უფლებანი პირველი მდივნის მოვალეობისაგან. მან ურჩია ცენტრალურ კომიტეტს ამ პოსტზე აირჩიოს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი დოქტორი გუსტავ ჰუსაკი.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები ლუდვიკ სვობოდა, ოლდრიხ ჩერნიკი, ლუბომირ შტროუგალი, შტეფან სადოვსკი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრები, რომელთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარდგენილ პროექტებს. პლენუმმა გადაწყვიტა დაამტკიცოს ამ. დუბჩეკის თხოვნა იმ პირობით, რომ გადავა ხელმძღვანელ სახელმწიფო პოსტზე. ამავე დროს პლენუმმა იგი აირჩია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი პრეზიდიუმის წევრად. პლენუმმა მადლობა გამოუცხადა მას იმის გამო, რაც მან პირველი მდივნის პოსტზე ყოფნისას გააკეთა პარტიისა და მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის ბასტილიდან დღემდე.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ფარული ბიულეტენებით ხმის დიდი უმრავლესობით ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია დოქტორი გუსტავ ჰუსაკი და ახალი პრეზიდიუმი. ამასთანავე პლენუმმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომართვა სახელმწიფოს ყველა მოქალაქისადმი და სხვა გადაწყვეტილებანი. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მოიწვიოს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და სლოვაკიის კომპარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები და გააცნოს მათ პლენუმის მუშაობის შედეგები.

პლენუმის მუშაობის დასასრულს გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დოქტორი გუსტავ ჰუსაკი.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად დაადასტურა გადაწყვეტილება განაგრძოს იანვრისშემდგომი პოლიტიკა, როგორც იგი ასახულია გასული წლის აპრილის, მაისისა და ნოემბრის პლენუმებზე მიღებულ ძირითად დოკუმენტებში. ამხ. დუბჩეკთან თანხმობით პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ძირეული შემობრუნება ამ პოლიტიკის პრაქტიკულ რეალიზაციაში, უმთავრესად პარტიის ხელმძღვანელი როლის განსორციელებაში, ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების თანმიმდევრულ კონსოლიდაციასა და საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ნორმალიზაციაში.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობა

პრაღა, 18 აპრილი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 17 აპრილს გაიმართა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წინადადებით დაადგინა გააუქმოს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც დღემდე არსებობდა და აირჩია პრეზიდიუმი 11 კაცის შემადგენლობით.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად აირჩიეს **ვ. ბილიაკი, პ. ცოლოტაკი, ო. ჩერნიკი, ა. დუბჩეკი, ე. ერბანი, გ. ჰუსაკი, ი. პილერი, შ. სადოვსკი, ლ. სვობოდა, ლ. შტროუგალი** და **კ. პოლაჩეკი.**

ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა დაამყაროს გაზეთ „რუდე პრავოს“ ახლანდელი მთავარი რედაქტორის **ი. სეკერას** თხოვნა ამ თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ და ამ პოსტზე დანიშნა **მ. მოცი.**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში

17 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოწვევით მეგობრული არაოფიციალური ვიზიტით მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ოტო ვინცერი. (საკდესი).

* * *

18 აპრილს მოსკოვიდან ბერლინში გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ო. ვინცერი, რომელიც მეგობრული არაოფიციალური ვიზიტით იყო სსრ კავშირში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოწვევით.

(საკდესი).

მეგობრული ვიზიტით

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოწვევით 18 აპრილს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ჟამიანგიინ ლხაგვასურენი. (საკდესი).

დიადი თაოსნობის ნაპერწკლიდან

დამკვრელურად გამოვაცხადოთ ვ. ი. ლენინის იუბილემდე დარჩენილი წელიწადი!

ი. ხაზარაძის თაოსნობას მხარს უჭერს ფულუკიძელი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი დალი ფიცფიცაძე

ქუთაისელმა ნოვატორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ხაზარაძემ კარგი საქმე წამოიწყო. ჩვენი რესპუბლიკის ყველა სოციალისტური შრომის გმირს მოგვმართა მოწოდებით დამკვრელურად გამოვაცხადოთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილემდე დარჩენილი წელიწადი. მან გადიდებული ვალდებულებანი იკისრა და სხვებთან ერთად მეც გამომიწვია სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ი. ხაზარაძის სოციალისტურ ვალდებულებას გულდასმით გავეცანი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მისი ეს მოწოდება მხოლოდ გმირებს როდი გვეხება. იგი შრომაში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის ადგერთოვანებს ყველა საბჭოთა მშრომელს, ვისთვისაც ძვირფასია ლენინის სახელი. პარტია, სამშობლო! მე სინდისიერად ვიღებ ი. ხაზარაძის გამოწვევას. ვებმები სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობ შემდეგ ვალდებულებას:

რგოლიათვის მიჩენილი 3,5 ჰექტარიდან 42 ტონა მაღალხარისხოვან ნედლეულს მივიღებთ. აგროღონისძიებათა დაცვით ვეწამლოთ ბალანტაციების სასუქებით გამოკვებას და სხვა სამუშაოს. შარშანდელთან შედარებით მოსავლიანობა ჰექტარზე გავადიდოთ 300 კილოგრამით, მნიშვნელოვნად შევამცეროთ წარმოებული ნედლეულის თვითღირებულება.

რგოლის წევრები ვიმუშავებთ და ვიცცოვრებთ კომუნისტურად, დავეუფლებით ჩაის მოყვანის მოწინავეთა მეთოდებს, წარმოებაში დავნერგავთ მეცნიერების მიღწევებს. პირადად მე მიმდინარე წლეს მოვკრეფ 7.500 კილოგრამ ხარისხოვან ნედლეულს.

ჩემი რგოლის სახელით ვკისრულობ რა ამ ვალდებულებებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ მეჩაიე სოციალისტური შრომის გმირებს, ყველა მეჩაიეს, მევენახეს და მოვაუწოდებ, რომ შართოდ გააჩაღონ შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. პირადად მე სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ. მახარაძელ მეჩაიეს. სოციალისტური შრომის გმირს კლავდია ნაცვალაძეს და გურჯაანელ მევენახეს სოციალისტური შრომის გმირს ვიხილ მეკვევრიშვილს.

დალი ფიცფიცაძე,

ფულუკიძის ა. ფულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი 1969 წლის 1 მაისისათვის

(დასასრული)

29. სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის მუშაკებო! უფრო აქტიურად განახორციელეთ მიწების მელიორაციის, ქიმიზაციისა და სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის პროგრამა!

30. მუშებო და კოლმეურნეებო, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! აამაღლეთ წარმოების კულტურა, უფრო ფართოდ დანერგეთ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და მოწინავე გამოცდილება!

31. საბჭოთა მეცნიერებო, კონსტრუქტორებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! აქტიურად იბრძოლეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებისათვის!

32. ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებო! ყოველნაირად აამაღლეთ მოსახლეობის მომსახურების კულტურა, უფრო სრულად და უკეთ დააკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი!

33. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! მაღლა ატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობის, ხალხურობის, იდეურობის დროშა, სრულყავით თქვენი მხატვრული ოსტატობა, მთელი ძალღონე და ნიჭი მოახმარეთ კომუნიზმის მშენებელთა პოლიტიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ აღზრდას!

34. განათლების მუშაკებო! ყოველნაირად სრულყავით სახალხო განათლება! უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეთ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში!

35. ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის მუშაკებო! გააუმჯობესეთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება! განავითარეთ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში!

36. კომუნისტებო! იყავით მასების უნარიანი აღმზრდელები და ორგანიზატორები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე განხორციელებისათვის ბრძოლაში!

37. ქალიშვილებო და ჰაბუკებო! გულმოდგინედ დაეუფლეთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებს! იყავით რევოლუციური იდეალების ერთგულნი, კომუნიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილენი!

38. პიონერებო და მოსწავლეებო! მხურვალედ გიყვარდეთ საბჭოთა სამშობლო, კარგად ისწავლეთ, პატივი ეცით შრომას! ემზადეთ, რომ გახდეთ ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლნი!

39. ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მებრძოლ მარქსისტულ-ლენინურ ავანგარდს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ქვეყნად კაცობრიობის ნათელი ოცნების — კომუნიზმის დამკვიდრებისათვის მამაც მებრძოლებს!

40. დაე მტკიცდებოდეს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე!

41. გაუმარჯოს მთელი პროგრესული ძალების ერთიანობასა და შეკავშირებას აგრესიის, ძალადობისა და ომის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში!

42. ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მსოფლიო სოციალისტური სისტემა — ოქტომბრის დიადი საქმის გამარჯვება, საერთაშორისო მუშათა კლასის ისტორიული მონაპოვარი!

43. სოციალისტური ქვეყნების მშრომელებო! იბრძოლეთ მეგობრობისა და ერთიანობის განმტკიცებისათვის, სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის! იყავით ფხიზელნი სოციალიზმის მტერთა ხრიკებისადმი!

უფრო მაღლა ავწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა!

44. ძმური სალამი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს, რომელიც თავდადებით იბრძვის მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ, მშრომელთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური უფლებებისათვის, სოციალისტური იდეალების გამარჯვებისათვის!

45. გაუმარჯოს და განმტკიცდეს სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალების კავშირი — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ხალხთა ბრძოლის წარმატების საწინდარი!

46. მხურვალე სალამი ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოთა ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, სოციალური განვითარების პროგრესული გზისათვის!

47. მხურვალე სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

48. ძმური სალამი კაპიტალისტური და კოლონიური მონასტრის ხალხებს, ხალხთა თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის მამაც მებრძოლებს, რომლებიც საპყრობილეებსა და ფაშისტურ დილეგებში იტანჯებიან!

49. ძმური სალამი მამაც ვიეტნამელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

50. მსოფლიოს ხალხებო! გადაჭრით მოსთხოვეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიული ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

ამერიკელი იმპერიალისტები გაეცალონ ვიეტნამს!

51. ევროპის ქვეყნების ხალხებო! მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ რევანშიზმისა და ნეოფაშიზმის წინააღმდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იმისათვის, რომ ატომური იარაღი ხელთ ვერ იგდონ დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებმა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სრულიად ევროპის უშიშროებასა და მშვიდობას!

52. ევროპის ქვეყნების ხალხებო! აქტიურად იბრძოლეთ ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის, ევროპის ხალხთა თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებისათვის!

53. დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა ხალხის სოლიდარობა არაბული ქვეყნების ხალხებთან, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის მხრივ ხელყოფის წინააღმდეგ, ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელ აგრესორთა ჯარების გაყვანისათვის!

54. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ანტიიმპერიალისტური მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირების პოლიტიკას!

55. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ბედნიერების ბურჯს, მშვიდობისა და პროგრესის საიმედო დასაყრდენს!

56. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ზეიმისათვის ბრძოლაში!

57. გაუმარჯოს კომუნიზმს — კაცობრიობის ნათელ მომავალს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ახალი ამოცანების დონეზე

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

17 აპრილს საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმზე გრძელდებოდა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხის განხილვა. იგი მიმდინარეობდა: საწარმო-მასობრივი საქმიანობისა და შრომის დაცვის კულტურულ-მასობრივ, სოციალური დაზღვევისა და შრომელთა დასვენებისა და ორგანიზაციულ-მასობრივი — მუშაობის სექციებში.

კამათს მონაწილეებმა მოიყვანეს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ პირველადმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, ასრულებენ რა სკკპ XXIII ყრილობისა და სსრ კავშირის პროფკავშირთა მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებებს, გააძლიერეს გავლენა საწარმოო საქმიანობის ყველა მხარეზე და საწარმოთა, მშენებლობათა, დაწესებულებათა კოლექტივების საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. გიგანტური მათი აქტივობა წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებისათვის, შრომისადმი და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვისათვის, მუშათა, მოსამსახურეთა და მათ ოჯახთა მოთხოვნების ყოველმხრივი დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში.

ორატორებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, გამოავლინეს ნაკლოვანებანი და აღნიშნეს, თუ რა უნდა გაკეთდეს, რათა საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი და საამქრო კომიტეტების მუშაობა აიყვანონ უფრო მაღალ საფეხურზე.

ამ საკითხზე მიღებულ პლენუმის დადგენილებაში განსაზღვრულია პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების მთავარი ამოცანები. მათმა ორგანიზატორულმა და აღმზრდელობითმა საქმიანობამ უნდა დარაზმოს მუშები და მოსამსახურენი ამისათვის საბრძოლველად, რომ განუხრელად გაუმჯობესონ საწარმოთა მუშაობის საწარმოო და ეკონომიური შედეგები, ყოველი ღონისძიებით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების კომიტეტებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საწარმოო გეგმების მომზადებასა და განხილვაში, შინაგანი რეზერვების გამოვლინებასა და რაც შეიძლება სრულ გამოყენებაში.

შემდეგ პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს საკავშირო პროფსაბჭოს საფინანსო განყოფილების გამგის ლ. ვ. ჩუკანოვის მოხსენება სსრ კავშირის პროფესიული კავშირების ბიუჯეტის შესახებ და საკავშირო პროფსაბჭოს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის განყოფილების გამგის მ. ი. კაზიეევის მოხსენება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის შესახებ.

ამ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ი. მ. ლადიჩენკომ პლენუმს გააცნო საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მუშაობა წინა პლენუმის შემდეგ.

პლენუმმა საკავშირო პროფსაბჭოს წევრთა შემადგენლობისაგან შექმნა ახალგაზრდობის შორის მუშაობის კომისია და სბიუჯეტო კომისია.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. შელეპინმა.**

ამით პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. (საკდესი).

დიდი ქართველი მეცნიერი

აკადემიკოს ტ. კვარაცხელიას დაბადების 80 წლისთავი

ქართველი ხალხი მადლიერების გრძნობით აღნიშნავს აკადემიკოს ტ. კვარაცხელიას დაბადების 80 წლისთავს. აკადემიკოსმა ტ. კვარაცხელიამ 40 წლის შემქმედებითი შრომა შეალია მშობლიური აგრონომიული მეცნიერების გვიანთარეას, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას და სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

აკადემიკოს ტ. კვარაცხელიას ცხოვრება და მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. იგი ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, აქტიურად მონაწილეობდა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის მუშაობაში, ქმნიდა სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო ქსელს და ამ გზით ხელს უწყობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერულ დონეზე დაყენებას, დიდ ყურადღებას უთმობდა მეცნიერული პრობლემების დამუშავებას უპირატესად სუბტროპიკული მეურნეობის სახით. ამ სამუშაოთა პარალელურად ტ. კვარაცხელია იდგენდა კადრების აღზრდისა და სახელმძღვანელო ლიტერატურის შექმნისათვის.

ტ. კვარაცხელია დაიბადა ზალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუნი ღარიბი რაინდის გლეხის ოჯახში 1889 წელს. ახალგაზრდობაში მას ისეთივე ძმიმე ზლვები ხვდა, როგორიც ყველა მაშინდელ ღარიბ მოსწავლეს, — შრომობდა და თან სწავლობდა.

1911 წელს იგი ჩაირიცხა პეტერბურგის უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში (ამჟამად ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი). აქ სტუდენტმა ტ. კვარაცხელიამ მოაწყო მებაღეობის მოყვარულთა სამეცნიერო წრე, რომელსაც უშუალოდ თვითონ ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდში იგი დიდ მუშაობას ეწეოდა სოფლის მეურნეობის საკვანძო საკითხების შესასწავლად, აქვეყნებდა სამეცნიერო სტატიებს, მონაწილეობდა რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში, ეცნობოდა რუსული აგრონომიული აზროვნების კორიფეებს, კერძოდ კი — მიჩურინის მოძღვრებას, ამავე დროს უკავშირდებოდა მრავალ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალების რედაქციებს. და ბეჭდავდა თავის გამოკვლევებს სოფლის მეურნეობის საკვანძო საკითხებზე. მატერიალური ხელმოკლეობის გამო მან ვერ შეძლო აღნიშნული სასწავლებლის დამთავრება და მეოთხე კურსის სტუდენტი იწყებს მუშაობას ჯერ სოხუმის ოლქის სოფლის მეურნეობის უფროს ინსპექტორად, შემდეგ კი კოდორ-სამურზაყანოს საერთო აგრონომად, ამავე დროს განაგებდა სოხუმის საცდელსაჩვენებელ ნაკვეთს, სადაც მისი ინიციატივით მოეწყო მუდმივმოქმედი ორწლიანი კურსები სოფლის ახალგაზრდობის მოსამზადებლად. შემდგომში ტ. კვარაცხელია მუშაობდა გულრიფშის სახელმწიფო მამულის აგრონომად, აქ დაარსა 4-წლიანი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

ტ. კვარაცხელიას შემოქმედებაში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ იწყება ახალი პერიოდი — პირველად ინიშნება საბჭოთა მეურნეობა „ფსირცხის“ დირექტორად, 1923 წელს მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მუხრანის სასწავლო მეურნეობის მეხილეობისა და მებოსტნეობის განყოფილების გამგედ. ამავე პერიოდში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მებაღეობა-მეღვინეობის განყოფილებაზე, რომელიც 1925 წელს დაამთავრა. აგრონომი ტ. კვარაცხელია მიიწვიეს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში მებაღეობა-მეღვინეობისა და სუბტროპიკული კულტურების დარგების ინსპექტორად, შემდგომში კი გადაიყვანეს აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში ჯერ მებაღეობა-მეღვინეობისა და სუბტროპიკული კულტურების დარგების ინსპექტორად, შემდეგ კომისრის მოადგილედ და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

ტ. კვარაცხელიას გული მუდამ სცადელი საქმისაკენ მიუწევდა. ამის გამო 1927 წლის ივნისში გადავიდა სოხუმის სოფლის მეურნეობის საცდელ სადგურში გამგედ, აქ მან მოაწყო მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ეკოლოგიის განყოფილება, გააფართოვა სადგურის სამუშაო. არე. სულ მალე ეს საცდელი სადგური გადაკეთდა ტენიანი სუბტროპიკული მეხილეობის საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტად. ტ. კვარაცხელია 1928 წლიდან იყო ხერსონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორიც.

ამ პერიოდში იწყება ჩაის პლანტაციების ჩქარი ტემპით გაშენება. ამასთან დაკავშირებით აღსდგება ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (ანასეულში, მახარაძის რაიონში). ამ ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილის გამგედ და დირექტორის მოადგილედ მიიწვიეს ტ. კვარაცხელია. აქ მთელი რიგი წლების მანძილზე იგი დიდ მუშაობას ეწეოდა. იმოგზაურა ექსპედიციაში ახალი რაიონების გამოვლინების მიზნით, იღვწოდა ჩაის სასწავლო ინსტიტუტში, სადაც ითვლებოდა ჯერ სასწავლო ნაწილის, შემდგომ კი სუბტროპიკული მეხილეობის კათედრის გამგედ. მას კვლავ მოუსდა სოხუმის ტენიანი სუბტროპიკების ინსტიტუტში დაბრუნება დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. პარალელურად მუშაობდა სოხუმის სუბტროპიკული მეხილეობის ინსტიტუტშიც.

ზემოაღნიშნული პერიოდი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ტ. კვარაცხელიამ მოიხეჭა შრომისუნარიანი, საქმის დიდი მცოდნის, დიდი ერუდიციის მეცნიერ-ჭკვლევარის და ორგანიზატორის, თავმდაბალი მუშაკის სახელი.

ტ. კვარაცხელიამ მოწაფეობის პერიოდშივე მიაქცია ყურადღება წყაზის კულტურას, აღწერა იგი და იწინასწარმეტყველა მისი დიდი მომავალი. — ახლა, როგორც ცნობილია, წყაზს იყენებენ არა მარტო, როგორც დეკორაციულ მცენარეს, არამედ როგორც გემრიელი ნაყოფის მომცემსაც. წყაზი საერთოდ შესანიშნავი ხილია და დიდი რაოდენობით შეიცავს მორიმლავ ნივთიერებას და სალბავებს. წყაზის პროდუქტებს იყენებენ მედიცინაში, კოსმეტიკაში და კვების მრეწველობაში. წყაზის წვენი შესანიშნავი საკუპაჟე მასალაა ხილეკეროვანების ღვინოებისა და ლიქიორისათვის, აძლევს მათ საუკეთესო არომატს, სასიამოვნო გემოსა და ფერს.

აკადემიკოსმა ტ. კვარაცხელიამ მეცნიერული სიღრმით დაამუშავა მთელი რიგი საკითხები. რომლებსაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ასეთებია ნიადაგის ეროზია და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი, ჩაის მცენარის ფესვთა სისტემა და მისი გეოგრაფიული გამრავლება, ციტრუსოვანი კულტურების დიფერენციალური აგროტექნიკა, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხები.

ეროზიის საკითხები მან დაამუშავა სოხუმისა და მახარაძის რაიონების ნიადაგების მაგალითზე. მოწინავე მეცნიერმა ჩაატარა ცდები ნიადაგის დამცველი მცენარეების გაშენებისა და დნერგვისათვის. თანამედროვე პირობებში ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები საერთაშორისო მნიშვნელობისაა.

ჩაის ბუჩქის ვეგეტატიურ გამრავლებას მეტად დიდი პრაქტიკული და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ტ. კვარაცხელიამ პირველმა, ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, დაამუშავა ჩაის მცენარის ვეგეტატიური გამრავლების ხერხები და მეთოდები. მისი გამოკვლევები ამ საკითხზე დაიბეჭდა არა მარტო საბჭოთა ჟურნალებში, არამედ საზღვარგარეთაც, კერძოდ კი ცეილონის ჟურნალში.

როგორც ცნობილია, ბარის რაიონებში სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და დარგების შეთანაწყობის საკითხები უნიფიცირებულად წყდება. აქ საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ერთნაირია ნიადაგები და კლიმატური პირობები. მაგრამ ამასთან ერთად დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში, სადაც საქმე გვაქვს ვერტიკალურ ზონალობასთან, ნიადაგებიც და მცენარის განვითარების ბევრი სხვა პირობა იცვლება ყოველ 1-2 კილომეტრის ფარგლებში. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ტ. კვარაცხელიამ და დაამუშავა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხი. მანვე დიდი ყურადღება მიაქცია ციტრუსოვანი კულტურების დიფერენციალური აგროტექნიკის დამუშავებას.

ტ. კვარაცხელიას ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ეროვნული კადრების შექმნის საქმე. 1937 წელს ტ. კვარაცხელია დაინიშნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტის დეკანად. ამის შემდეგ იგი უფრო ფართო მონაწილეობას იღებდა კადრების აღზრდაში. მან გაუკვალა გზა მეცნიერებაში რამდენიმე ათეულ მეცნიერ მუშაკს, რომლებიც წარმატებით ემსახურებიან სუბტროპიკული მეწამოქმედების განვითარების საპატიო საქმეს. ტ. კვარაცხელია ავტორია 60-ზე მეტი ნაბეჭდი შრომისა. 1934 წელს დაიბეჭდა მისი კაპიტალური შრომა „ჩაის ბუჩქი და მისი თანამგზავრი კულტურები“ (რუსულ ენაზე). მომდევნო წელს იგი ქართულ ენაზეც იქნა გამოცემული. 1945 წელს დაიბეჭდა „სუბტროპიკული მეხილეობა“, 1950 წელს კი (თანაავტორობით) „მეჩაიეობა“. ეს შრომა გამოცემულ იქნა ქართულ ენაზეც.

უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ტ. კვარაცხელიას 1935 წელს დისერტაციის დაცვაველად მიანიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1941 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1946 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1948 წელს ტ. კვარაცხელია არჩეულ იქნა ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. იგი იყო დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ერთ-ერთი ავტორი (სუბტროპიკული მეწამოქმედების სახით).

ტ. კვარაცხელია სკკპ რიგებში შევიდა 1943 წელს. საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა ამაგდარი მეცნიერის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოქროს მედლებით.

ო. ორაგველიძე,
დოცენტი.

კომუნისტი

№ 2 გვერდი, შაბათი,
19 აპრილი, 1969 წ.

აი ვინ დაწინაურდა

ყარამოების კულტურის საზობადოებრივი დათვალიერების შედეგები

ჩაებწინ რა ე. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებაში, საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაჯილდოებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა სერიოზული შუბობა გაგაბორკილეს შრომის პიროობების გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, რამაც ხელი შეიწყო სახელმწიფო გეგმების, სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას, ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ზრდას.

1968 წელს დათვალიერების მიმდინარეობისას რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებისაგან შემოვიდა 233 წინადადება წარმოების კულტურის, ტექნიკური ესთეტიკის, შრომის დაცვის, საწარმოო სანიტარიის განვითარების შესახებ, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის მუშაკებმა წამოაყენეს 162, ხოლო კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკებმა — 143 წინადადება. ბევრი წინადადება წამოაყენეს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს სიხარმოთა მუშებმა და მოსამსახურეებმა. წარმოების კულტურის ამაღლების საქმეში გარკვეული მუშაობაა გაწეული საავტომობილო ტრანსპორტის და სოფლისა ეროვნული ყოფის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბრეზიდიუმის დადგენილებით სოფლისა საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები წარდგენილი არიან საკავშირო პროფსაბჭოს, სპეციალური სიგელებით დასაჯილდოებლად. მათ შორის არიან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის № 4 მექანიკური ქარხნის, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონული საბჭოს ადმასამის სარემონტო-სამშენებლო კანტორის, ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველოს ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ფაბრიკის, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის № 5 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის, რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს № 28 საგზაო-სარემონტო ბანის კოლექტივები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნეს, რომ წარმოების კულტურის საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობაში ძალიან ბევრს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაჯილდოებარების მთელ რიგ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა. მათ შორის არიან საქართველოს საბჭოს ბრეზიდიუმის დადგენილებით საუკეთესო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები წარდგენილი არიან საკავშირო პროფსაბჭოს, სპეციალური სიგელებით დასაჯილდოებლად. მათ შორის არიან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის № 3 მექანიკური ქარხნისა და წყალტუბოს რაიმრეწკომბინატის, თბილისის საქალაქო საბჭოს ადმასკომის „თბილწყალსადენის“ სამმართველოსა და სარემონტო-სამშენებლო ტრესტის, რუსთავის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს თბილისის სილამაზის სალონის, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 2, № 41 საგზაო-საექსპლოატაციო უბნებისა და № 2 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველოს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის № 2 ავტოსარემონტო ქარხნის, თბილისის № 1 და № 17 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორების, გაგრის № 2, 660 ავტოკოლონის, ქუთაისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორისა და მახარაძის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკთობბრიდიტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს ბათუმის ცენტრალური გადასაზიდი ბაზის კოლექტივებმა. (საქდესი).

მუზეუმი ღია ცის ქვეშ

18 აპრილს თბილისში მუშაობა დაამთავრა პირველმა სრულიად საკავშირო სემინარ-თათბირმა, რომელიც მიეძღვნა მოკავშირე რესპუბლიკების ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საზოგადოებათა მუშაობის გამოცდილების გაზიარებას. სემინარ-თათბირი მოაწყვეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლების დაცვის სამეცნიერო-მეთოდიკურმა საბჭომ და საქართველოს კულტურის ძეგლების დაცვის საზოგადოებამ.

მოკავშირე რესპუბლიკებში შექმნილი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საზოგადოებანი დიდ მუშაობას ეწევიან საშობლოს წარსულისა და აწმყოს შესახებ ცოდნის პროპაგანდისათვის, ძეგლებისა და სამახსოვრო ადგილების რესტავრაციისა და კეთილმოწყობის დარგში. საქართველოში, მაგალითად, საკავშირო ტრანსპორტის ძეგლების დაცვის ლენინური ანდერძი და მისი განხორციელება — ამ თემას მიუძღვნა მოხსენება სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებული კულტურის ძეგლების დაცვის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარემ, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა პ. ვოლოდინმა. ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ძეგლებისა და სამახსოვრო ადგილების პროპაგანდის შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. ტარასენკომ. საქართველოს სსრ ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ილაპარაკა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ბერიძემ.

თათბირზე გამოვიდნენ სრულიად რუსეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ივანოვი, ამ საზოგადოების პროპაგანდის განყოფილების გამგე ი. ბელოკინი, უკრაინის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ი. პეტრუსენკო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული კულტურის ძეგლების დაცვის საქართველოს საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, არქიტექტურის კანდიდატი თ. კანდელაკი, სომხეთის სსრ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, არქიტექტურის დოქტორი ვ. არუთინიანი, უზბეკეთის სსრ საზოგადოების გამგეობის სწავლული მდივანი უ. რასულზადე, ლიტვისა და ბელორუსიის სსრ რესპუბლიკების საზოგადოებათა თავმჯდომარეები ა. სტრავინსკასი და ფ. ბორისევიჩი და სხვები. (საქდესი).



2,5 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს ფოთის ელექტროაპარატების ქარხანა მომდინარე წელს.

ელექტროაპარატები ფოთიდან იგზავნება საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში და ახლოგარეთის 18 ქვეყანაში.

თავდადებული შრომით გაითქვა სახელი მოწინავე ამწყობ-ზეინკალმა ლიანა სახიშვილმა. იგი წარმატებით დგას ლენინურ ვახტზე და ცვლის დავალებებს 120-125 პროცენტით ასრულებს.

• • •

სურათზე: კომკავშირელი ლიანა სახიშვილი საექსპორტო აპარატების აწყობის დროს.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო ცხოვრება

მსოფლიოს დამაინტერესებელ საკითხებზე

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

პრაღა, 18 აპრილი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გადმოსცა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმართვა ჩეხოსლოვაკიელი ხალხისადმი.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 17 აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ნათქვამია მიმართვაში, მიზნად ისახავენ, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ უკეთ, ვიდრე დღემდე შეძლოს განავითაროს თავისი პოლიტიკის ძირითადი არსი, რომელიც ჩამოაყალიბა პარტიის XXIII ყრილობამ. ამ ხაზს, რომელსაც საფუძვლად უდევს მთელი ხალხის გაერთიანება განვითარებული, სრულყოფილი სოციალისტური საზოგადოების აშენების ინტერესებისათვის, კვლავ გაესვა ხაზი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ივნისის პლენუმზე.

მაშინ ჩვენ მკაფიოდ გამოვყავით ჩვენი პოლიტიკის ძირითადი ლენინური პრინციპები, როგორიც არის მისი ერთიანობა, ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, პოლიტიკური ინტერნაციონალიზმისადმი, ნათქვამია მიმართვაში. ამ პრინციპებსა და პარტიის ხელმძღვანელი როლის განხორციელების ლენინურ მეთოდებზე დაყრდნობით გადაწყვეტეთ კვლავაც განვავითაროთ სოციალისტური დემოკრატია, ჩეხთა და სლოვაკთა საერთო სახელმწიფო, რომელიც საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განუყოფელი ნაწილია.

გულწრფელმა მისწრაფებამ დაეძლიათ პარტიასა და საზოგადოებაში დაგროვილი წინააღმდეგობანი და განსაკუთრებით შემდგომი სოციალისტური განვითარების პრობლემათა გადაჭრის პერსპექტივამ, აცხადებს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, გააკეთიერა ჩვენი ხალხების ჯანსაღი ძალები, რომლებიც გულწრფელად იცავენ სოციალიზმის იდეალებს. მაგრამ ამასთან ერთად წარმოიშვა სხვადასხვა ოპოზიციური მიმდინარეობანი, რომლებმაც ბოროტად გამოიყენეს დემოკრატიული თავისუფლებანი, აყენებდნენ სხვადასხვა) ფსევდორადიკალურ და დემაგოგიურ ლოზუნგებს და სულ უფრო მიზანდასახულად ეხლეჩაფდნენ კი არ განვითარებანთან, არამედ დაეშლათ სოციალისტური საზოგადოება. თავიანთი მთავარი მეცადინეობა მათ უწინარეს ყოვლისა მიმართეს იქითკენ, რომ თანდათან შეესუსტებინათ იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული ერთიანობა კომუნისტური პარტიისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის მთავარი გარანტიაა, და საფრთხეს უქმნიდნენ პარტიის ხელმძღვანელ როლს საზოგადოებაში. მათ მოადუნეს პარტიის უნარი აქტიურად ემოქმედა, ახუსტებდნენ სახელმწიფო ხელისუფლებას და მეტად არახელსაყრელ გავლენას ახდენდნენ ეკონომიურ განვითარებაზეც. ზოგიერთი პუბლიცისტის აქტიური დახმარებით ისინი ცდილობდნენ გამოეწვიათ უნდობლობა კომუნისტური პარტიის ძალებისადმი, მისი უნარიანობა გადაჭრას ახლანდელი პრობლემები და ესწრაფვოდნენ ბოლოს და ბოლოს სოციალიზმის დისკრედიტაციას.

გახარწნის ეს პროცესი დასრულდა ანტიხალბჭოთა და ნაციონალისტური ენების გაღვივებით.

შარშან ცენტრალურმა კომიტეტმა მრავალგზის განიხილა ეს მდგომარეობა, ხოლო მაისის პლენუმზე განსაკუთრებით მიაქცია ყურადღება, თუ რა სერიოზულ საფრთხეს ქმნიან მემარჯვენე ძალები, საფრთხეს, რომლის შედეგად შესაძლოა მომხდარიყო მთავრობის კონფლიქტი. მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ვერ გამოიყენა ყველა საშუალება და შესაძლებლობა., აგრეთვე ვერ უზრუნველყო პარტიის მოწონებული პოლიტიკური ხაზის განხორციელება.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ ვერაფერით ვერ მოხერხდა მდგომარეობის კონსოლიდაცია, საქმე იქანდე მიდიოდა, რომ იქმნებოდა სულ ახალ-ახალი პოლიტიკური კრიზისები, როლებიც აუძლურებდნენ არა მარტო პარტიას, არამედ მთელ საზოგადოებას, რომელიც მუდმივი დაძაბულობის, შეშფოთებისა და საერთო მერყეობის პირობებში იყო. ამ ბოლო კვირეებში მოვლენათა განვითარებამ მხოლოდ გაამწვავა ეს აუტანელი ატმოსფერო.

ჩვენ მოგვაჩნია, რომ აღარ შეიძლება ასეთი მდგომარეობის მოთმენა, აცხადებს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. თუ პარტიამ უნდა განახორციელოს ის, რაც განული წლის დამდეგს ხალხს გამოუცხადა როგორც თავისი უშუალო მიზანი, და რაც კონკრეტული ფორმით ჩამოაყალიბა ნოემბრის რეზოლუციაში, ამისათვის საჭიროა სწორი დადგენილებებიდან გადავიდეთ მტკიცე მოქმედებაზე.

მდგომარეობის გამოსწორების პირველი პირობა ის არის, რომ საკუთარი შრომისუნარიანი გაუხდოთ უწინარეს ყოვლისა თვით პარტიის ხელმძღვანელობა, გაუზარდოთ ოპერატიულობა და ისე გადავაკეთოთ მასში ძალები, რომ უფრო ვიწრო, კოლექტიურად მომუშავე ორგანოში ოპტიმალურად იყოს გამოყენებული ყოველი მისი ცალკეული წევრის გამოცდილება, ნიჭი და ენერგია. ამით ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, როცა წამოაყენა წინადადება, რომ პარტიის ხელმძღვანელობაში მოეხდინა ახალი ორგანიზაციული და პერსონალური ცვლილებები.

აცხადებს რა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ გ. ჰუსაკის პრინციპული და თანმიმდევრული ბრძოლა პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულება შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც პარტია უყენებს თავის ხელმძღვანელ მოღვაწეებს.

მიმართვის დასასრულს ნათქვამია:

ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი განვახორციელოთ იანვრის-შემდგომი პოლიტიკური ხაზი, რომელიც ახასხა პარტიის პროგრამაულ დოკუმენტებში, უმთავრესად ნოემბრის რეზოლუციაში, ჩვენ უარვყოფთ პოლიტიკურ ორჭოფობას და მისწრაფებებს მოახდინონ პარტიის, როგორც შუშათა კლასის მებრძოლი ავანგარდის, ლენინური ხასიათის რეგენერაცია. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ მერყეობით, უცხო იდეოლოგიისადმი დათმობებითა და მისი წაბაძვით კი არა, არამედ პრინციპული და მტკიცე ხელმძღვანელობით განვამტკიცებთ ჩვენი ხალხის ნდობას კომუნისტური პარტიისადმი, თანდათან დავძლევთ ურწმენობას ჩვენს ცხოვრებაში, უზრუნველვყოფთ სოციალისტური საზოგადოების ერთიანობასა და პროგრესს. განვამტკიცებთ რა სახელმწიფო ხელისუფლების ძირითად რგოლებს, ამით განვამტკიცებთ მშრომელი ხალხის ძალაუფლებას.

ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი კიდევ უფრო ავაყვავოთ ჩვენი საძმობლო და საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან მტკიცე კავშირის საფუძველზე უზრუნველყოთ მისი მშვიდობიანი მომავალი.

მხურვალედ მოვუწოდებთ ჩვენს მუშებსა და გლეხებს, ინტელიგენციასა და ყველა სხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს, ჩვენს ახალგაზრდობას, ეროვნული ფრონტის ყველა ორგანიზაციას, ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირული მოძრაობის ყველა წევრს მხარი დაუჭირონ კომუნისტური პარტიის ამ პოზიციურ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ჩვენი ხალხების ბედნიერი და მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფა.

ბოლოს, რომ ჩვენი მოქალაქეების დიდი უმრავლესობა გაგვიგებს და სავსებით დაუჭერს მხარს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას მისი პოლიტიკის განხორციელებაში.

ლ. სვობოდას გამოსვლა

პრაღა, 18 აპრილი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გვატყობინებს:

გუშინ ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიით გამოსვლისას, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ლუდვიკ სვობოდამ განაცხადა:

ძვირფასო თანამემამულენო!

ამ წლის დამდეგს ჩვენ ვამბობდით, რომ მიმდინარე წელი ადვილი არ იქნება, რომ მოგვიხდება სიძნელეების გადალახვა. ეს დასკვნები, სამწუხაროდ, სავსებით გამართლდა. კარგი, საამქადო დღეები ჯერ ჯერობით ცოტა იყო, სამაგიეროდ უკვე განვიცადეთ რამდენიმე სერიოზული კრიზისი. მათი დაძლევა სულ უფრო და უფრო გვიძნელდებოდა. ამ კრიზისების კულმინაცია იყო მარტის დამლევის ამბები. თქვენგან ვიღებთ ბევრ წერილს, რომლებშიც აღშფოთებას გამოთქვამთ ამ პროცესებზე. ყველა ეს ღონისძიება განხორციელდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ალექსანდრ დუბჩეკის წინადადებით. ამ მოქმედებამ ყველაზე სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენს ინტერესებს, ჩაფუშა მთელი რიგი თვეების მეცადინეობა და ჩვენი განვითარება ძლიერ დასწია უკან. ამ მოქმედებამ დიდი ზიანი მიაყენა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მეცადინეობას, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში მდგომარეობის კონსოლიდაცია და მისი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუჯობესება. ასეთი გაუჯობესება შეესაბამება ჩვენს ღვიძლ ინტერესებს. ვინც არღვევს ამ ურთიერთობას, იგი უწინარეს ყოვლისა ზიანს აყენებს საკუთარ ქვეყანას. თქვენ სამართლიანად იწერებით წერილებში, რომ ამგვარად ერთ ნაბიჯსაც ვერ გადაადგამთ წინ, ჩვენ კი უნდა გადავჭრათ ესოდენ ბევრი პრობლემა. ბევრ თქვენგანს გულწრფელად აფიქრებს ის, თუ რა უნდა განვახორციელოთ, რათა თავი დავაღწიოთ ჩიხს, რათა ჩვენი მდგომარეობა საერთოდ გაუჯობესდეს. სწორედ ეს არის ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დღევანდელი პლენუმის მთავარი თემა.

ჯერ კიდევ ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმებზე ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების პროგრამა იმის შესაბამისად, რასაც ვესწრაფვით 1968 წლის იანვრის შემდეგ. მაგრამ ეს პროგრამა საკმარისად არ სრულდება. სიძნელეები იზრდება, და მდგომარეობას, როგორც ვხედავთ, ბოროტად იყენებენ ჩვენი პოლიტიკის და ჩვენი სოციალისტური წყობილების მოწინააღმდეგენი.

მე მწამს, რომ დამეთანხმებით. არ შეიძლება დავუშვათ, რომ მათი მოქმედების შედეგებისათვის ზღვარდნენ პატიოსანი ადამიანები, მათ შორის პატიოსანი ჟურნალისტების, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეების უდიდესი უმრავლესობა, ინტელიგენცია, პროფკავშირთა წევრები ან ახალგაზრდობა, რომლებსაც არა აქვთ რა და არც სურთ ჰქონდეთ საერთო მათთან. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ცდილობს გამონახოს გზები და საშუალებანი, რათა ჩვენს რთულ მდგომარეობაში უფრო ეფექტიანად განხორციელდეს პოლიტიკა, რომელიც მოიწონა ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი ხალხის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

ამ ხანაგმა დუბჩეკმა ამ პლენუმზე ითხოვა გაათავისუფლონ იგი პირველი მდივნის პოსტიდან. ცენტრალურმა კომიტეტმა გულმოდგინე ბჭობის შემდეგ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. ამხანაგ დუბჩეკის სახელი ჩვენს შეგნებაში მუდამ დაკავშირებული იქნება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის იანვრის შემდგომ პოლიტიკასთან. თავისი საქმიანობის პერიოდში ამ პოსტზე მან მოიპოვა დიდი პოპულარობა და ჩვენი საზოგადოებრიობის ნდობა. დარწმუნებული ვარ, რომ შეუძლია სავსებით დაიყრდნოს მას თავის შემდგომ მუშაობაში ყველაზე პასუხსაგებ პოსტებზე.

კომუნისტურ პარტიაში შექმნილი მდგომარეობა ახლა მოითხოვს, რომ პირველი მდივნის პოსტი ეჭიროს ენერგიულ პოლიტიკურ მოღვაწესა და თანამიმდევრულ ორგანიზატორს. ცენტრალურმა კომიტეტმა ამ პოსტზე აირჩია ამხანაგი ჰუსაკი. იგი გამოვა თქვენს წინაშე და გაგაცნობთ თავის გეგმებს. მე ვიცნობ ამხანაგ ჰუსაკს, როგორც პატიოსან, გამოცდილ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკურ მოღვაწეს, პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ხალხისადმი ერთგულ ადამიანს. მინდა მოგმართოთ თხოვნით, რომ ნდობა გამოუცხადოთ და მხარი დაუჭიროთ მას ძნელი ამოცანის შესრულებაში.

გ. ჰუსაკის გამოსვლა

გუსტავ ჰუსაკი.

* * *

პრაღა, 18 აპრილი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გვატყობინებს:

17 აპრილს ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიით გამოსვლისას, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გუსტავ ჰუსაკმა განაცხადა:

ამხანაგებო, პატივცემულო მეგობრებო!

როგორც თქვენ უკვე ჩვენი რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამხანაგმა სვობოდამ გაცნობათ, დღეს მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. იგი ეძებს გამოსავალს ძნელი კრიზისული მდგომარეობიდან, რომელშიც უკვე დიდი ხანია იმყოფება ჩვენი სახელმწიფო. ამ მომენტში პლენუმი ჯერ კიდევ განაგრძობს მუშაობას. ჩვენს საზოგადოებრიობას დაწვრილებით გააცნობენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობასა და მის შედეგებს. საჭიროდ მივიჩნიეთ თუნდაც მოკლედ გვიცნობებინა ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ზოგიერთი საკითხი, რათა არ წარმოიშვას ზედმეტი პანიკა და ჭორები, რათა მტრულმა პროპაგანდამ ბოროტად არ გამოიყენოს უმაღლესი პარტიული ორგანოს მიერ ჩვენი საქმეების განხილვა.

მე ვამბობდი, და ამას ამხანაგი პრეზიდენტიც ამბობდა, რომ თითქმის უკვე ათელი წელია ვერ გამოვსულვართ ძნელი კრიზისული მდგომარეობიდან, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებს აროერთგზის მათ შორის ამ ბოლო დროსაც, მიუბართავთ საზოგადოებრიობისათვის, განუმარტავთ ამ კრიზისული მდგომარეობის მიზეზები, აგრეთვე შესაძლო გამოსავალი გზები, რათა ჩვენს ცხოვრებაში დადგეს სიმშვიდე, რათა ჩვენი სახელმწიფო ცხოვრობდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას. ნორმალური საშინაო და საერთაშორისო ურთიერთობის პირობებში.

ცენტრალური კომიტეტის დღევანდელი პლენუმის ერთ-ერთი გადაწყვეტილება იყო აგრეთვე საკითხი პარტიის ახალი ხელმძღვანელობის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი პრეზიდიუმისა და ახალი პირველი მდივნის არჩევის შესახებ. ყველა ეს ღონისძიება განხორციელდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოგალეობის ამხანაგ დუბჩეკის წინადადებით. ამ ღონისძიებამ ყველაზე სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენს ინტერესებს, ჩაფუშა მთელი რიგი თვეების მეცადინეობა და ჩვენი განვითარება ძლიერ დასწია უკან. ამ მოქმედებამ დიდი ზიანი მიაყენა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მეცადინეობას, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში მდგომარეობის კონსოლიდაცია და მისი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუჯობესება. ასეთი გაუჯობესება შეესაბამება ჩვენს ღვიძლ ინტერესებს. ვინც არღვევს ამ ურთიერთობას, იგი უწინარეს ყოვლისა ზიანს აყენებს საკუთარ ქვეყანას. თქვენ სამართლიანად იწერებით წერილებში, რომ ამგვარად ერთ ნაბიჯსაც ვერ გადაადგამთ წინ, ჩვენ კი უნდა გადავჭრათ ესოდენ ბევრი პრობლემა. ბევრ თქვენგანს გულწრფელად აფიქრებს ის, თუ რა უნდა განვახორციელოთ, რათა თავი დავაღწიოთ ჩიხს, რათა ჩვენი მდგომარეობა საერთოდ გაუჯობესდეს. სწორედ ეს არის ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დღევანდელი პლენუმის მთავარი თემა.

ჯერ კიდევ ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმებზე ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების პროგრამა იმის შესაბამისად, რასაც ვესწრაფვით 1968 წლის იანვრის შემდეგ. მაგრამ ეს პროგრამა საკმარისად არ სრულდება. სიძნელეები იზრდება, და მდგომარეობას, როგორც ვხედავთ, ბოროტად იყენებენ ჩვენი პოლიტიკის და ჩვენი სოციალისტური წყობილების მოწინააღმდეგენი.

მე მწამს, რომ დამეთანხმებით. არ შეიძლება დავუშვათ, რომ მათი მოქმედების შედეგებისათვის ზღვარდნენ პატიოსანი ადამიანები, მათ შორის პატიოსანი ჟურნალისტების, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეების უდიდესი უმრავლესობა, ინტელიგენცია, პროფკავშირთა წევრები ან ახალგაზრდობა, რომლებსაც არა აქვთ რა და არც სურთ ჰქონდეთ საერთო მათთან. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ცდილობს გამონახოს გზები და საშუალებანი, რათა ჩვენს რთულ მდგომარეობაში უფრო ეფექტიანად განხორციელდეს პოლიტიკა, რომელიც მოიწონა ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი ხალხის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

ამხანაგმა დუბჩეკმა ამ პლენუმზე ითხოვა გაათავისუფლონ იგი პირველი მდივნის პოსტიდან. ცენტრალურმა კომიტეტმა გულმოდგინე ბჭობის შემდეგ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. ამხანაგ დუბჩეკის სახელი ჩვენს შეგნებაში მუდამ დაკავშირებული იქნება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის იანვრის შემდგომ პოლიტიკასთან. თავისი საქმიანობის პერიოდში ამ პოსტზე მან მოიპოვა დიდი პოპულარობა და ჩვენი საზოგადოებრიობის ნდობა. დარწმუნებული ვარ, რომ შეუძლია სავსებით დაეყრდნოს მას თავის შემდგომ მუშაობაში ყველაზე პასუხსაგებ პოსტებზე.

კომუნისტურ პარტიაში შექმნილი მდგომარეობა ახლა მოითხოვს, რომ პირველი მდივნის პოსტი ეჭიროს ენერგიულ პოლიტიკურ მოღვაწესა და თანამიმდევრულ ორგანიზატორს. ცენტრალურმა კომიტეტმა ამ პოსტზე აირჩია ამხანაგი ჰუსაკი. იგი გამოვა თქვენს წინაშე და გაგაცნობთ თავის გეგმებს. მე ვიცნობ ამხანაგ ჰუსაკს, როგორც პატიოსან, გამოცდილ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკურ მოღვაწეს, პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ხალხისადმი ერთგულ ადამიანს. მინდა მოგმართოთ თხოვნით, რომ ნდობა გამოუცხადოთ და მხარი დაუჭიროთ მას ძნელი ამოცანის შესრულებაში.

ერთიანი ბიბლიოთეკის მონოდება

ბონი, 17 აპრილი. (საკდესი). **გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობასთან დაკავშირებით აქ მყოფმა შვეიცარიის პრემიერ-მინისტრმა ერლანდერმა დღეს სიტყვა წარმოთქვა ბონში პრეს-კონფერენციაზე.** მან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას მოუწოდა ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ. ერლანდერმა განაცხადა, რომ ძალიან სამწუხაროდ მიიჩნევს, თუ „ბონი ხელს არ მოაწერს ხელშეკრულებას“.

საჭირო ურთიერთგაგება

ნიუ-იორკი, 18 აპრილი. (საკდესი). მშვიდობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი პირობაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცება, განაცხადა გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აკრედიტებული ჟურნალისტებისათვის გამართულ სადილზე. უ ტანმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო გითარების გაჯანსაღების არსებითი ფაქტორია ოთხი დიდი სახელმწიფოს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ურთიერთგაგება.

ამასთან დაკავშირებით უ ტანმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების მიმართვა, რომ მოეწყოს სრულიად ევროპის თათბირი ევროპის უშიშროებისა და მშვიდობიანი თანაშრომლობის საკითხებზე, შეესაბამება გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპებს ეხება.

ოკუპანტთა ზარალი

ამანი, 17 აპრილი. (საკდესი). **როგორც ნათქვამია პალესტინის ორგანიზაციის „ეროვნული განთავისუფლების“ აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში, 14 აპრილს ქალაქ ხერბონის რაიონში არაბი პარტიზანების ხანძარმოლი მოქმედების შედეგად დახოცილი და დაჭრილია — 35-ზე მეტი ისრაელი ჯარისკაცი და ოფიცერი და განადგურებულია რამდენიმე ტანკი და სამხედრო ავტომანქანა.**

იორდანია

ათეულ ათასობით არაბული ოჯახი ისრაელის აბრეხვის შედეგად უსახლკაროდ დარჩა. ადამიანებმა, მათ შორის ქალებმა, მოხუცებმა და ბავშვებმა, რომლებსაც სკკუთარი ჭერი აღარ აქვთ, მიატოვეს დიდი ხნის წინათ დასახლებული ადგილები და იძულებული არიან იცხოვრონ კარვებში, სადაც მათ ბრაფერი არ იცავთ მცხუნვარე მზისა და მტვრიანი ქარისაგან.

ს უ რ ა თ ზ ე: ჯალესტინელ ლტოლვილთა კარვების ბანაკი ამანის მახლობლად.

ფოტო **იუპი-საკდესისა.**

ვიზიტი დამთავრდა

სოფია, 17 აპრილი. (საკდესი). **ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ერთი კვირის ყოფნის შემდეგ სამშობლოში გამოემგზავრნენ საბჭოთა კოსმონავტი ა. ს. ელისეევი და კოსმოსური სამართლის საკითხთა სპეციალისტი პროფესორი გ. პ. უუკოვი.**

ბულგარეთში საბჭოთა სტუმრები შეხვდნენ პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, კულტურის მუშაკებს, სტუდენტებს, ჟურნალისტებს. ისინი მონაწილეობდნენ კოსმონავტიკის დღესასწაულთან დაკავშირებულ სამეცნიერო სესიაში და მეცნიერებაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილ სესიაში.

ბულგარეთიდან თან მიგიყვანეს საინტერესო შთაბეჭდილებანი, განუცხადა ჟურნალისტებს გამოფრენის წინ ა. ს. ელისე



მშობლიური პეიზაჟები

ბეგვრი ისტორიული ძეგლია შემონახული აჭარის მთიან რაიონებში. ძალიან ლამაზია მთის პატარა, მაგრამ ჭირვეულ მდინარეებზე გადებული ძველი თაღოვანი ხიდები. ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთის ცენტრში მდინარე აჭარისწყალზეა ძველი ოსტატების მიერ გაკეთებული თაღოვანი ხიდი. იგი უკვე რამდენიმე საუკუნეა ემსახურება ადამიანებს. **სურათზე:** ძველი ხიდი მდინარე აჭარისწყალზე.

ფოტო **ნ. ანასტასიევისა.** (საკადესის ფოტოქრონიკა).

ლაინერის მორიგი რეისი

ბათუმი. (საკ. კორ.). ლაინერი „ივანე ფრანკო" ტურისტული რეისებით დადის შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში. ახლახან მორიგი ტურისტული რეისით მან ბათუმში ჩამოიყვანა მოძმე უკრაინისა და მოღდავეთის 700 მშრომელი.

ორი დღის განმავლობაში ტურისტებმა დაათვალიერეს ბათუმის ღირსშესანიშნაობანი და გარეუბნები.

◆

ტელეფონი-პატრიოტი

უვარელი. (საკ. კორ.). კარგახანია ქალაქის მოსახლეობა ავტომატური სატელეფონო კავშირით სარგებლობს, მაგრამ ჭუჩებში სატელეფონო დანადგარები არ იყო. ამ დღეებში პირველი ავტოსატელეფონო ჯიხური დადგეს კავშირგაბმულობის კვანძის მახლობლად. მოკლე ხანში ასეთი ჯიხურები ქალაქის ყველა უბანში იქნება.

„ კომუნისტის" ინტერვიუ

ვიდრე „ვაზ-2101" დაიბადებოდეს...

ბაზეთ „კომუნისტის" მკითხველებმა კარგად იციან, რომ ქალაქ ტოლიატში შენდება ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდი საავტომობილო ქარხანა, რომელიც 1970 წლის ბოლოსათვის გამოუშვებს მსუბუქ ავტომობილს „ვაზ-2101". ახალი ავტომობილისადმი ინტერესი დიდია. როგორი იქნება იგი? — გვეკითხებიან ავტომოყვარულები.

გუშინ ჩვენს რედაქციას ესტუმრა ამ მშენებარე ქარხანა-გიგანტის გენერალური დირექტორის მოადგილე კადრების დარგში ნ. პასტუხოვი. ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას.

კითხვა: *როგორი ტემპით მიმდინარეობს ქარხნის მშენებლობა?*

პასუხი: ტემპი ჩქარია. მკითხველმა ალბათ უკვე იცის, რომ ამ მოღელის საცდელი ნიმუშის ავტომანქანის გამოცდა დამთავრდა და ჯერ მშენებელ-მემონტაჟიორებზეა, რომლებიც ახლა მანქანადანადგარებისა და სხვა მოწყობილობების ინტენსიური დამონტაჟების სამუშაოებს აწარმოებენ.

როგორც ცნობილია, ტოლიატის საავტომობილო ქარხანა, ახლა მას ისე უწოდებენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადწყვეტილებით შენდება, სიტყვამ მოტანა და ერთი „საიდუმლოება" უნდა გამომხელოთ. თუ რა ერქმევა ჩვენს ავტომობილს, ჯერ არ არის გადწყვეტილი. იქნებ ქართველმა მეგობრებმაც მიიღონ მის ნათლობაში მონაწილეობა? ამისათვის კი წინასწარ გმადლობთ. ჩვენი ქარხანა საბჭოთა მსუბუქი ავტომობილების მწარმოებელი ყველაზე მსხვილი, უახლესი, დიდი წარმადობის ტექნიკით აღჭურვილი საწარმო იქნება. ავტომობილის წარმოების ტექნოლოგიას საფუძველად დაედო ცნობილი იტალიური მანქანათსამშენებლო ფირმის — „ფიატის" მდიდარი გამოცდილება.

კითხვა: *თქვენს ქარხანას საწარმო-გიგანტს უწოდებენ. რა გაგრია მისი მასშტაბები?*

პასუხი: ჩვენ ბოლოს ქარხნის სიდიდეზე ნათელი წარმოდგენა რომ შეექმნას, მოკლედ გიტყვით, რომ ტექნიკური პროექტით წარმოება 500 ჰექტარზე მიტ ფართობს დიუჭირს. უახლესი ტექნოლოგიური პროცესები და სრულყოფილი მოწყობილობა საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ შრომის მაღალ ნაყოფიერებას, ამასთან გამოვუშვათ სუფთა ხარისხის პროდუქცია. მაგალითად, მწნეხავ წარმოებაში გამოვიყენებთ წნეხებს, რომლებზეც ავტომატიზებული და მექანიზებული იქნება მასალის მიწოდება და დატვიფრული ნაწილებისა და ნარჩენების გამოტანა. მთელი ქარხნის საფუძველი იქნება საავწყობო-საძარე წარმოება. აქ საწარმოო პროცესები ავტომატიზებულია.

ავტომობილების ასაწყობად დაპროექტებულია კომპლექსური ავტომატური ხაზები, რომლებიც აღჭურვილი არიან დიდი წარმადობის მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით. ქარხანას იქნება სამი ასაწყობი კონვეიერი. მათი სიჩქარე წუთში 5-5,5 მეტრია. ჩვენი საწარმოს მთლიან ავტომატიზაციასა და მექანიზაციაზე თვალნათლივ მეტყველებს ასეთი ფაქტი. მარტო სარეზერვო ხაზების საერთო სიგრძე 150 კილომეტრამდეა.

კითხვა: *რამდენ ავტომობილს გამოუშვებს ქარხანა წელიწადში, როცა მთელი საპროექტო სიმძლავრით ამუშავდება, და როგორი იქნება შრომის პირობები?*

პასუხი: ჩვენი ანგარიშით, ავტომობილების გამოშვებამ წელიწადში 660 ათას ცალს უნდა მიაღწიოს. ახალი მოდელის წარმოებისათვის მზადებას კი საამქროსა სიმძლავრე 1,5-2 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს. ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა. ამიტომ ჩვენ აქედანვე ვიცდილობთ შრომის საუკეთესო პირობები შეიქმნათ მუშებს. ტექნიკურ პერსონალს. ქარხანაში დაინერგება ყველაზე უახლესი შრომის ორგანიზაცია, გამოვიყენებთ ელექტროგამომთვლელ მანქანებს, საშუშაო და საყოფაცხოვრებო ნაგებობანი მოეწყობა და გაფორმდება ტექნიკური ესთეტიკის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით. მაგალითად, საყოფაცხოვრებო შენობები და სასადილოები სამუშაო ადგილიდან იქნა ახლოს განლაგდება. ყოველდღიურად მოეწყობა ერთდროული ნახვიარსაათიანი სადილობა ცვლის ყველა მუშისათვის. მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ქარხნის ახლოს შენდება სასწავლო ცენტრი, სადაც ყოველწლიურად 10 ათასი კაცი იამაღლებს კვალიფიკაციას.

კითხვა: *როგორ ჩაბარა ავტომობილმა გამოცდა?*

პასუხი: შედეგებით კმაყოფილი ვართ. სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევენ მას. იგი გამძლე და ძლიერია, ამასთან დიდ სიჩქარესაც ავითარებს (სპასპორტო მაქსიმუმი — 140 კილომეტრი საათში). „ვაზ"-ი საკმაოდ ავტაციოდ მოსახერხებელი იქნება, განსაკუთრებით ავტომოყვარულთათვის. მათ განსაზარად შევნიშნავ, რომ ავტომობილს არა აქვს წერტილები შპრიცული წესით გზეთიდანთვის. მნიშვნელოვნად გაზანგრძლიგებულია ძრავისა და სიჩქარის კოლოფში ზეთის გამოცვლის ვადები. ამის როგორ აკეთებდნენ, კონსტრუქტორები ითვალისწინებდნენ, რომ ავტომოყვარულს ყოველთვის იქნე რიდი აქვს გარაჟი სარემონტო ორმოთი და ამწეთი.

ჩვენი საუბარი ამით დამთავრდა. გამომშვიდობებისას სტუმარს და ქარხნის მთელ კოლექტივს ვუსურვეთ წარმატება მათი საპატიო ამოცანის დადებითად გადაჭრის საქმეში.

სურათზე: *ნ. პასტუხოვი.*

ტყვიავის მექანიკური

გორი. (საკ. კორ.). დღითიდღე უმჯობესდება გორის რაიონის მშრომელთა კულტურული მომსახურება. ამ დღეებში სოფელ ტყვიავში მუშაობა დაიწყო პურის საცხობმა მექანიზებულმა ქარხანამ. მისი წარმადობა ჯერჯერობით დღეღამეში 6 ტონაა.

მალე ეს ქარხანა მთლიანად გადაეცემა საექსპლოატაციოდ, ამუშავდება საკონდიტრო და საფუნთუშე საამქროები. გაიზრდება პურის საცხობი საამქროს წარმადობაც. როცა ქარხანა მთლიანი დატვირთვით იმუშავებს, აქ დღეღამეში 10-12 ტონა პური გამოცხვება.

ტყვიავის მექანიზებული პურსაცხობი ტყვიავის ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემავალი სოფლების მშრომელებს მოემსახურება.

ახალი პროფილაქტორიუმი

წალენჯიხა. (საკ. კორ.). მოაგორიანი რაიონია წალენჯიხა. აქ ყველა სახის სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები დადის სოფლის გზებზე. ბევრ კოლმეურნეს და მუშა-მოსამსახურეს აქვს საკუთარი მსუბუქი მანქანა, მაგრამ აქამდე რაიონში პროფილაქტორიუმი არ ყოფილა.

წალენჯიხის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ ახლახან გახსნა კეთილმოწყობილი ავტოპროფილაქტორიუმი, სადაც ერთდროულად მოემსახურებიან ათობით მსუბუქ და სატვირთო ავტომანქანას.

ახალი პროფილაქტორიუმი დაკომპლექტებულია მცოდნე სპეციალისტებით.

მსოფლიოს პირველობაზე

ფუსტად, ეფექტურად

მატჩს მსოფლიოს პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილსა და ა. კუშნირს შორის ძლივს ჩამოვუსწარი — ბელგრადის საერთაშორისო ტურნირში ვთამაშობდი. ეს მატჩი, ცხადია, ძლიერ აინტერესებდათ არა მარტო ტურნირის მონაწილეებს, არამედ მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს ბაც. სხვათა შორის, შეჯიბრების თვრამეტივე მონაწილემ უპასუხა მიმომხილველის კითხვაზე: „ვინ გაიმარჯვებს. ნ. გაფრინდაშვილი, თუ ა. კუშნირი?" ნ. გაფრინდაშვილმა ყველა, 18, ხმა მიიღო!

მსოფლიო ჩემპიონის წარუმატებელი სტარტი ჩემთვის მოულოდნელი იყო. ამის მიუხედავად ერთი წამითაც არ ამიღია ხელი ჩემს ადრინდელ განცხადებაზე. ამასთან, როგორც მეხუთე პარტიამ დაამტკიცა, ნ. გაფრინდაშვილი თანდათან შედის თავის ჩვეულ ფორმაში.

მეხუთე პარტიაში პრეტენდენტი თეორებით თამაშობდა. მან კვლავ ინგლისურ დასაწყისს მიმართა, და პირველი 8 სვლა მესამე პარტიას დაემთხვა. მართალია, ეს პარტია მსოფლიოს ჩემპიონის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ პრეტენდენტი ვერ დაემდურებოდა დებიუტის შედეგებს.

ამჯერად ა. კუშნირმა გადაწყვეტილება მიიღო თავიდანვე გაეცვალა ფიგურები და სწრაფად მიეღწია უაიმისათვის. რამდენჯერ იქნა დამტკიცებული, რომ ეს ფრაზად სახიფათო გზაა, მაგრამ დროდადრო თვით ყველაზე გამოჩენილი მოჭადრაკეებიც კი ამნაირად (მე ვიტყოდი, ფრიად უხეიროდ) თამაშობენ. თუმცა დაფიდან გაჭრნენ ლაზიერები და სამ-სამი მსუბუქი ფიგურაც, მაგრამ ცხადი გახდა თეორების შეცდომა. ამდენი გაცვლებით გატაცებულმა ა. კუშნირმა აშკარად უარესი პოზიცია მიიღო. მე-17 სვლაზე შავი ეტლი კუშნირის განლაგებაში შეიჭრა. პრეტენდენტი დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა.

მსოფლიოს ჩემპიონი ზუსტად და ენერგიულად თამაშობდა. ჩინებული იყო მისი მე-18 სვლა, რომელმაც ხაზი გაუსვა შავების აშკარა პოზიციურ უპირატესობას. მართალია, პრეტენდენტმა შემდეგშიც შეინარჩუნა მატერიალური წონასწორობა, მაგრამ ამას ალარ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. ნ. გაფრინდაშვილმა ორი ეტლი და კუ გადაისროლა თეორი მეფის წინააღმდეგ, რომლის საფარი ფრიად დასუსტებული იყო. კუშნირის ორი ეტლიც შავების ბანაკში შეიჭრა. მეტოქის მეფის დატყვევებაში აქტიურად მონაწილეობდა ნ. გაფრინდაშვილის მეფეც. აქ უნდა გავიხსენოთ გამოჩენილი ფრანგი მოჭადრაკის ანდრე დანიკან ფილიდორის სიტყვები: „მეფე აქტიური ფიგურაა!"

ნ. გაფრინდაშვილის 29-ე სვლის შემდეგ პრეტენდენტმა საათი გაჩერა და გამარჯვება მიულოცა მსოფლიოს ჩემპიონს.

აი როგორ წარიმართა ეს პარტია:

ა. კუშნირი—ნ. გაფრინდაშვილი

ინგლისური დასაწყისი

1. c4 ∂f6 2. ∂f3 c5 3. g3 b6 (როგორც ვხედავთ, ნ. გაფრინდაშვილი თანახმაა გაიმეოროს მატჩის მესამე პარტიის დასაწყისი. ეს გასაგებია. მაშინ ხომ შავებმა წარმატებით გადაჭრეს სადებიუტო პრობლემები და ხელსაყრელად განლაგდნ თავიანი ძალები) 4. ∂g2 ∂b7 5. 0—0 e6 6. b3 ∂e7 7. ∂b2 0—0 8. e3 d5 (აქამდე ყველაფერი ისე იყო, როგორც მესამე პარტიაში, სადაც ა. კუშნირმა 9. ∂e2 ითამაშა და ფიგურათა ცვლა შეწყდა. ამ ადგილზე ინგლისელ ოსტატ ტარტაკოვერი ამბობს: „ეს ფიგურა ცვლა ინგლისელ ოსტატ ტარტაკოვერ